SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | აგვისტო | 2020 | №2

მეშახტე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

კომპანიის სიახლეები / ტექნიკური სიახლეები / თანამშრომლები / ჩვენი ქალაქი / სპორტი / კულტურა/ისტორია

ტყიბულში ქვა-ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგური აშენდება!

გვ.3

თანამშრომლობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან



გვ.4

ბადრი ლობჟანიძე - 54 წელი სამთო გეოლოგიაში!

გვ.5

მერიამ "ცხრაჯვარის" გზის რეაბილიტაცია დაიწყო

გვ.6

თამაზ დოლაბერიძე: „პროფკავშირი საკუთარ წვლილს შეიტანს ამ გაზეთის განვითარების საქმეში"



გვ.7

"საქნახშირის" თანადაფინანსებით TDDF-ში STEAM კლუბი დაიწყებს ფუნქციობას

გვ.7

ზაფხულის გასართობი ღონისძიებები "საქნახშირში"

ტყიბულში ქვა-ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგური აშენდება!

კომპანია „საქნახშირში“ შახტების განვითარებისა და სრული რეკონსტრუქციის გეგმაზე მუშაობა აქტიურ ფაზაში შევიდა. ინფრასტრუქტურის განახლების გარდა მიმდინარეობს საქნახშირში დასაქმებულთა სოციალური პირობების გაუმჯობესობასა და ახალ საშტატო განაკვეთზე მუშაობა. ეს ყველაფერი კი ერთ მიზანს ემსახურება - წარმატებით განხორციელდეს 150 მეგავატიანი, ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად გააძლიერებს ტყიბულის რეგიონს და უდიდეს წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობასა და განვითარებაში. ინვესტორი კომპანიის დამფუძნებელმა, გიორგი ჭელიძემ აღნიშნული პროექტისა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა.

მოგვიყევით თბოელექტროსადგურის მნიშვნელობაზე და მის როლზე ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობისა და განვითარების მიმართულებით.

თბოელექტროსადგური მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი იქნება არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. მის მიერ გამომუშავებული ენერგია უდიდეს წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების საქმეში. შესაბამისად, ელექტროენერგიის დეფიციტის პირობებში ელექტროენერგიის იმპორტი და უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გადინება შემცირდება. გარდა ამისა, თბოელექტროსადგურის მუშაობის პროცესში გამოყოფილი ენერგიის სწორად მართვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება სასათბურე მეურნეობის მიმართულებითაც, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონში აგრონომიული სფეროს განვითარებას.

რა მოცულობის ელექტროენერგიის გამომუშავება მოხდება?

დადგმული სიმძლავრე საათში 150 მეგავატი იქნება, წლიური გამომუშავება კი დაახლოებით 1012500 მეგავატი. გამომუშავებული ელექტროენერგია შესაბამისი ინფრასტრუქტურის გავლით მიეწოდება ქვესადგურს საერთო ელექტროსისტემაში განაწილებისათვის.

რა გავლენას მოახდენს ქვა-ნახშირის მოპოვებაზე და კონკრეტულად “საქნახშირის” მუშაობაზე თბოელექტროსადგურის ფუნქციობა?

თბოელექტროსადგურის ფუნქციობა მოითხოვს დიდი ოდენობით ქვა-ნახშირის მოპოვებას. სწორედ ამიტომ, ჩვენ მიერ დაწყებულია ინვესტირება და შესაბამისი სამუშაოები, როგორც არსებული შახტების მოდერნიზაციისთვის, ასევე ახალი უბნებისა და ველების შექმნისთვის, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ავტორიტეტული, უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები. ჩვენ ყველანაირად უნდა ვიყოთ მზად იმ რაოდენობის ქვა-ნახშირის მოპოვებისათვის, რა რაოდენობაც თბოელექტროსადგურის მუშაობისთვის იქნება საჭირო. ამიტომ, ჩვენი პრიორიტეტული მიმართულებებია შახტების განვითარება, ინფრასტრუქტურის განახლება, უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვა და თანამშრომლების განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება (ამ მიმართულებით, აქტიური თანამშრომლობა დავიწყეთ ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტთან).

რა რაოდენობის ინვესტიციის ჩადება იგეგმება ამ პროექტში?

პროექტში 220 მილიონ დოლარამდე ჯამური ინვესტიციის ჩადება იგეგმება. აქ იგულისხმება როგორც თბოელექტროსადგურის მშენებლობა, ისე შახტების მოდერნიზაცია. აქედან, შახტების მოდერნიზაციისა და გაფართოების პროექტში 50 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია ჩაიდება. ინვესტირება და გარკვეული მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებაც უკვე დაწყებულია.

რამდენად გაზრდის სამუშაო ადგილებს აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელება და რა გავლენას მოახდენს კონკრეტულად ტყიბულის რეგიონზე?

ზემოხსენებული პროექტების განხორციელების შემთხვევაში, გაიზრდება მოთხოვნა კადრებზე, შესაბამისად, შახტებზე სამუშაო ადგილების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება; გარდა ამისა, თბოელექტროსადგურში შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა იქნება დასაქმებული. შესაბამისად, გაუმჯობესდება ჩვენთან დასაქმებულების სოციალური მდგომარეობა, ეს კი, დადებით გავლენას მოახდენს მთლიანად რეგიონზე.

უკვე ცნობილია რომელი კომპანია განახორციელებს ამ პროექტს?

ამ ეტაპზე აქტიურად ვმუშაობთ საერთაშორისო კომპანიებთან, საფინანსო ინსტიტუტებთან და პოტენციურ პარტნიორებთან. შერჩევისა და მოლაპარაკებების პროცესი დაწყებულია. არჩევანს დიდი გამოცდილებისა და საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე კომპანიაზე შევაჩერებთ.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ თბოელექტროსადგურის მშენებლობა წარმატებით განხორციელდეს?

ამ პროექტის განხორციელება დამოკიდებულია როგორც ზემოხსენებულ კომპანიებთან წარმატებული მოლაპარაკებების წარმოებაზე, ისე „საქნახშირში“ დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელზე. მათი გულმოდგინე მუშაობა და საკუთარი საქმის პასუხისმგებლობით შესრულება მიგვიყვანს მიზნამდე, რომელიც, საბოლოოდ, უკეთესობისკენ შეცვლის თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას. გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან.

რა ეტაპზეა ამჟამად პროექტი და როდის შევა აქტიური მუშაობის ფაზაში?

პროექტის წარმატებით განსახორციელებლად გადავწყვიტეთ, მოგვეწვია პროფესიონალების გუნდი, რომლებიც პასუხისმგებლობას აიღებდნენ შახტებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე, წარმადობის და მოტივაციის გაზრდაზე. ამ ეტაპისთვის, ბატონი მიხაილ სოცკის ხელმძღვანელობით, უკვე დაწყებულია შახტების განვითარების გეგმის განხორციელება. მიხარია, რომ ამ პროცესებში აქტიურად არიან ჩართულები როგორც მოწვეული სპეციალისტები, ისე ჩვენი მეშახტეები. პერმანენტულად იმართება სამუშაო შეხვედრები და ხელმძღვანელობა შახტების რეკონსტრუქციის გეგმის თითოეულ პუნქტს აქტიურად განიხილავს თანამშრომლებთან. ამ პროექტის წარმატებით განხორციელება იქნება არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების, არამედ მთელი გუნდის და „საქნახშირის“ თითოეული თანამშრომლის შრომის დამსახურება.

„საქნახშირში“ შახტების სრული რეკონსტრუქციის გეგმის წარდგენის ღონისძიება გაიმართა

„საქნახშირის“ ადმინისტრაციულ შენობაში შახტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებთან და მეშახტეებთან შეხვედრა გაიმართა, რომელზეც კომპანიის ხელმძღვანელობამ შახტების სრული რეკონსტრუქციისა და ინვესტირების პროექტი წარადგინა.

კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, მიხაილ სოცკიმ და „საქნახშირის“ დირექტორმა, ზურაბ აღდგომელაშვილმა თანამშრომლებს ახალი გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და შეხვედრების გრაფიკი გააცნეს. ღონისძიება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დასაქმებულების კითხვებს ხელმძღვანელობასთან ერთად „საქნახშირის“ მთავარი ინჟინერის მოადგილე, გია ბაბუხადია პასუხობდა.

რეკონსტრუქციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულები არიან არა მხოლოდ ხელმძღვანელები, არამედ თავად მეშახტეებიც. ბოლო პერიოდის განმავლობაში მათთან არაერთი შეხვედრა გაიმართა. “საქნახშირის“ წარმომადგენლებმა შახტაში დასაქმებულებს დეტალურად გააცნეს კომპანიის გეგმა.

აღნიშნული შეხვედრები აგვისტოს განმავლობაშიც გაიმართება. საბოლოოდ კი, აგვისტოს ბოლოს მოხდება სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას, „საქნახშირის“ თანამშრომლებსა და კომპანია „საქნახშირს“ შორის.

„საქნახშირის“ ხელმძღვანელობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა!

26 ივნისს, კომპანია “საქნახშირის” ხელმძღვანელობა ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტისა და საქართველოს სამთო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა.

“საქნახშირის” დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, მიხაილ სოცკიმ ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ტყიბულის შახტების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხები და სამომავლო გეგმები გააცნო. “საქნახშირის” ხელმძღვანელობა, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტისა და საქართველოს სამთო საზოგადოების წარმომადგენლები მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. შახტების რეკონსტრუქცია სფეროს გამოცდილი სპეციალისტების აქტიური ჩართულობითა და მათთან კონსულტაციებით განხორციელდება.

“საქნახშირმა” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა!

ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტის სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, ირაკლი გუჯაბიძე და ამავე დეპარტამენტის პროფესორი, სამეცნიერო-საკვლევო საპროექტო ცენტრის “სამთო გეოლოგ პროექტის” ხელმძღვანელი, გელა მაჩაიძე ტყიბულში, კომპანია “საქნახშირში” სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში ორი სამუშაო შეხვედრა შედგა. პირველ შეხვედრაზე სტუმრებმა კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად შახტების სრული რეკონსტრუქციის გეგმა განიხილეს. მეორე შეხვედრა კი შახტების განვითარების სტრატეგიული ხედვის განხილვას დაეთმო. შახტების რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელება ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტების უშუალო ჩართულობითა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდება.

პროფესორი გელა მაჩაიძე: „ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-ტექნოლოგიურმა დეპარტამენტმა შახტების განვითარების ხედვა წარადგინა. კერძოდ, განვიხილეთ ახალი ტექნოლოგიები, საქვესართულე შტრეკებზე მონგრევის მეთოდი, მაბიჯი სამაგრი KPV 2 -ის გამოყენებით. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დამატებითი კითხვების შემთხვევაში გავაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას. არსებულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ჩვენი შეხედულებები და რეკომენდაციები დავაფიქსირეთ. საკმაოდ ნაყოფიერი ვიზიტი იყო და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო ნაყოფიერად გავაგრძელებთ მუშაობას.“

კომპანია „საქნახშირმა“ თანამშრომლებს შორის გამოკითხვა ჩაატარა

ცოტა ხნის წინ, „საქნახშირმა“ გამოკითხვა ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობა თანამშრომლების 80 % -მა მიიღო. კითხვარი 8 შეკითხვისგან შედგებოდა, გამოკითხულებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი უნდა დაეფიქსირებინათ.

პირველი შეკითხვა შახტაზე უსაფრთხოების წესების დაცვას შეეხებოდა, რომელზეც 99.5 % -მა უპასუხა, რომ უსაფრთხოების წესების სრული დაცვა აუცილებელია. დანარჩენმა 0.5 %-მა კი უარყოფითი პასუხი დააფიქსირა. კითხვაზე, მკაცრად უნდა უნდა დაჯარიმდნენ თუ არა უსაფრთხოების წესების დამრღვევები, თანამშრომელთა 87.4 % -მა დადებითი პასუხი გასცა, 12.6 % კი თვლის, რომ ეს ზომები ზედმეტია.

გარდა ამისა, დაისვა კითხვები, რომლებიც შახტის რეკონსტრუქციის გეგმას ეხებოდა. გამოკითხულთა 73 % -მა იცის, რომ ასეთი გეგმა არსებობს. რეკონსტრუქციის გეგმის შესახებ 27% ინფორმაციას არ ფლობს. გამოკითხვის მონაწილეთა 80.8 %-მა სურვილი გამოთქვა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ გეგმის განხილვაში. 19.2 % -ს ამის სურვილი არ აქვს. კითხვას „იცით თუ არა, რომ ამ ეტაპზე „საქნახიშირი“ წაგებაზე მომუშავე კმპანიაა?“ გამოკითხულთა 47.4 % დადებითად პასუხობს. 52.6 % -მა ამის შესახებ არ იცის.

გარდა ამისა, მმართველი კომპანიის მიმართ, რომელიც შახტების რეკონსტრუქციის პროცესშია ჩართული, დასაქმებულთა 64.5 % -მა ნდობა გამოხატა. ერთ-ერთი კითხვა იყო კულტურული და სპორტული ღონისძიებების საჭიროების შესახებ. თანამშრომლების 92.05 % -მა სურვილი გამოთქვა მსგავსი ღონისძიებების ჩატარებასა და მათში მონაწილეობის მიღებაზე.

რაც შეეხება „საქნახშირის“ Facebook გვერდს (www.facebook.com/saknakhshiri), მის შესახებ გამოკითხულთა 33.5 % -მა იცის.

„საქნახშირის“ განახლებული სასადილო ყოველდღიურად 400-მდე ადამიანს ემსახურება

მიმდინარე ცვლილებების პარალელურად, სრულად განახლდა „საქნახშირის“ სასადილო. შენობა გარემონტდა, აღიჭურვა ახალი ტექნიკით და დაიხვეწა კერძების ასორტიმენტი. მენიუ 23 დასახელების კერძისგან, ასევე გამაგრილებელი და ცხელი სასმელებისგან შედგება. სასადილოში ყოველდღიურად მზადდება ცივი და ცხელი კერძები. მეშახტეებისთვის მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებას შ.პ.ს. „ტრანსლოჯისტიკი“ ახორციელებს.

დღის მანძილზე სასადილო 400 -მდე დასაქმებულს ემსახურება. როგორც მეშახტეები ამბობენ, „საკვები გემრიელი და ხარისხიანია, სასადილოს პერსონალი კი ყურადღებიანი და მშრომელი.“

კომპანია „საქნახშირი“ შახტაში დასაქმებულებისთვის საკვები პროდუქტის ნაწილს ანაზღაურებს - ერთ დასაქმებულზე ყოველდღიურად 3 ლარიანი ტალონი გაიცემა. სასადილო ყოველდღე, დილის 8 საათიდან საღამოს 21 სათამდე მუშაობს და დასაქმებულების გარდა მას ხშირად სტუმრობენ ადგილობრივებიც.

ბადრი ლობჟანიძე

54 წელი სამთო გეოლოგიაში!

ბადრი ლობჟანიძე 54 წელია სამთო გეოლოგია. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1966 წელს, ახალგაზრდა გეოლოგი თბილისიდან ტყიბულში ჩამოვიდა და ტყიბულის შახტაში დასაქმდა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, პროფესია და სამსახური არ შეუცვლია, მის ცხოვრებაში იყო მხოლოდ კარიერული წინსვლა. ალბათ, სწორედ ამიტომაც, რიგითი გეოლოგი მალე მთავარი გეოლოგი გახდა და შეიძლება ითქვას, რომ დღეს ტყიბულის შახტებზე ერთადერთია, ვისაც უდიდესი ცოდნა და ფასდაუდებელი გამოცდილება გააჩნია. ბატონი ბადრი ტყიბულში ჩამოსვლისთანავე დაქორწინდა და ორი შვილი შეეძინა. მეუღლესთან, ნანი ლობჟანიძესთან და შვილიშვილთან ერთად ის დღემდე ტყიბულში ცხოვრობს.

ბატონ ბადრის 80 წლის იუბილე რამდენიმე თვის წინ ჰქონდა. მიუხედავად მისი ჭარმაგი ასაკისა, ახალგაზრდული შემართებით დღემდე შახტაში საქმიანობს. რაც მთავარია, სიამოვნებით უზიარებს ახალ თაობას საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას.

ღვაწლმოსილ გეოლოგს სამუშაო ოთახში ვესტუმრეთ. პროფესიის, განვლილი საქმიანობის შესახებ ვესაუბრეთ და მის მრავალწლიან გეოლოგიურ ნამუშევრებს ადგილზე გავეცანით.

ბადრი ლობჟანიძე: „მთაში გავიზარდე, ონის რაიონის მაღალმთიან სოფელ ღებში. გეოლოგიურად ძალიან საინტერესო ადგილია, ბევრი რამ გამოკვეთილია, კარგად ჩანს ქანები, არის საბადოები. იქ სამთო სამუშაოები მუდმივად მიმდინარეობდა და გეოლოგები ხშირად დადიოდნენ. ამიტომ, ბავშვობიდან დამაინტერესა ამ სფერომ და გადავწყვიტე გეოლოგი გავმხდარიყავი. სკოლის დასრულების შემდეგ, უმაღლესი განათლების მისაღებად სოფლიდან სასწავლებლად თბილისში წავედი. თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე, რომელიც 1966 წელს დავასრულე.

სწავლის დასრულების შემდეგ მალევე დაიწყეთ მუშაობა სამთო სფეროში?

სწავლის დასრულების შემდეგ ინსტიტუტმა გამანაწილა ტყიბულში და მას შემდეგ, 1966 წლიდან ტყიბულის შახტებში გეოლოგად ვმუშაობ. იყო შემოთავაზება რომ სამუშაოდ თბილისში, გეოლოგიის სამმართველოში გადავსულიყავი და იქიდან მემუშავა ტყიბულზეც, მაგრამ აქ მთხოვეს არ წავსულიყავი. მეც არ დავტოვე ეს ქალაქი და ოჯახთან ერთად დღემდე აქ ვცხოვრობ.

რამდენად რთულია თქვენი პროფესია?

საერთოდ, გეოლოგია რთული პროფესიაა. მით უმეტეს, ტყიბულის საბადო მსოფლიოში ცნობილია თავისი გეოლოგიური სირთულით. შესაბამისად, უამრავ სიძნელესთან გიწევს გამკლავება, გონებით უნდა იმუშაო. თავდაპირველად "ძიძიგურის" სახელობის შახტის გეოლოგი ვიყავი, შახტების გაერთიანების შემდეგ კი ტყიბულის შახტების მთავარი გეოლოგი გავხდი.

მრავალწლიანი მუშაობის განმავლობაში სირთულეებიც მქონდა, თუმცა, ყოველთვის ვცდილობდი მათ დაძლევას. ვფიქრობ, სირთულეებს თავს დღემდე ვართმევ.

მაინც რა არის ქვანახშირი, საიდან წარმოიშვა?

ქვანახშირი არის მცენარეული ნალექები. მათი დაგროვების შედეგად დედამიწის ქერქი მოძრაობს. ქერქის დაწევასთან ერთად იმატებდა მცენარეული ნალექებიც. საბოლოოდ, ისე სწრაფად დაიწია, რომ მცენარეები ქვის ნალექმა გადაფარა და შიგნით დაიწვა, მაგრამ მოხდა არასრული წვა, რადგან ჰაერი აღარ ჰქონდა. შედეგად, მცენარეული ნარჩენები ნახშირად იქცა, ეს იყო მილიარდობით წლების წინ.

რამდენია ტყიბულის შახტებში ნახშირის მარაგი და რა ტერიტორიებს მოიცავს?

ტყიბულის შახტებში ნახშირის მარაგი დაახლოებით 300 მილიონ ტონამდეა. ეს მოიცავს ტყიბულისა და რაჭის ტერიტორიის ნაწილს. ამ დროისთვის ნახშირის მოპოვება ტყიბულის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, რაჭის ტერიტორია ხელუხლებელია. ნახშირის მოპოვება უკვე გართულდა, რადგან უფრო და უფრო სიღრმეში გვიწევს ჩასვლა. ადრე ქვა-ნახშირი ზედაპირთან ახლოს იყო და მოპოვებაც შედარებით იოლი იყო.

რამდენად აქტუალურია ეს პროფესია დღეს?

სამწუხაროდ, დღეს გლობალური გეოლოგიის შესწავლას საერთოდ მიანებეს თავი. არადა, შახტაში აუცილებელია გეოლოგი. პროფესიონალის გარეშე ეს სფერო წარმოუდგენელია. მით უმეტეს, ტყიბულის შახტები - აქ გეოლოგის გარეშე გზას ვერ გაიგნებ. მე უკვე 80 წელს გადავცდი, ვფიქრობ რომ სამსახურს თავი დავანებო, თუმცა არ გვყავს სპეციალისტი რომელიც მე შემცვლის. ამიტომ, ისევ მე მიწევს მუშაობა. თუმცა, მყავს დამხმარე გეოლოგი, რომელიც ჩემთან ერთად აქტიურად მუშაობს. შახტაში უმეტესად მას უწევს გეოლოგიური დოკუმენტაციის შესრულება.

„საქნახშირის“ თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრები აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება

შახტების სრული რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელება თანამშრომლების უშუალო ჩართულობით მიმდინარეობს. სამუშაო შეხვედრები მეშახტეებისგან დაკომპლექტებულ 12 ჯგუფთან პერმანენტულად იმართება. შეხვედრებში თანამშრომლების 70% ჩაერთო, გეგმის განხილვაც აქტიურად და საინტერესოდ წარიმართა.

„საქნახშირის“ ხელმძღვანელობამ და მეშახტეებმა შახტების რეკონსტრუქციასთან, საშტატო ცვლილებებთან და ანაზღაურების ბონუსურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. პასუხი გაეცა არაერთ აქტუალურ კითხვას, უფრო გლობალური და მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად კი გარკვეული პერიოდი იქნება საჭირო. მიმდინარეობს წმენდითი სანგრევის სამთო მუშების სატარიფო განაკვეთის გაზრდის მოთხოვნის განხილვაც (გამომუშავებიდან გამომდინარე).

ერთ-ერთი შეხვედრა გამონამუშევრების გამყვანებთან შედგა. საბონუსე სისტემაზე გადასვლისას, მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მოხდა ანაზღაურების საკითხის განხილვა. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა უბანზე სხვადასხვა სირთულის სამუშაოა, თითოეულ უბანზე ცალკე პასპორტი შედგება. გამყვანების ხელმძღვანელები კი ანგარიშებს და შეფასებებს შეადგენენ.

ალექსანდრ ლოვინი (მთავარი ინჟინერი): „უბნის უფროსი, მთავარ ტექნოლოგთან ერთად, თითოეულ გამონამუშავარზე კონკრეტული, სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით (ფუჭი ქანი, ქვანახსირის ფენა, გამონამუშევრის კვეთი და სხვა) შეადგენს გაყვანის პასპორტს. ამის შემდეგ უბნის უფროსი, დაგეგმარების და ნორმირების განყოფილების უფროსთან ერთად, შეადგენს განფასების პასპორტს და გამომუშავების ნორმას, რომელშიც მითითებული იქნება 1 მეტრი გაყვანითი სამუშაოების ღირებულება.

რაც შეეხება ბოლო შეხვედრას, 30 რიცხვში ჩატარდა საშახტო ტრანსპორტის უბნის თანამშრომლებთან. წარვუდგინეთ შახტის განვითარების პროექტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ანაზღაურების ბონუსური სისტემის შესახებ. გეგმის შესრულების შემთხვევაში მათ ხელფას დაემატებოდა ბონუსი, გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში კი ისინი მიიღებდნენ პრემიებს. დიდი ხნის განხილვისა და კამათის შემდეგ, საშახტო ტრანსპორტის თანამშრომლებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ხელფასები და ბონუსები გაეზარდოთ. ვინაიდან უბედური შემთხვევებისას საპრემიო ნაწილი აკლდებათ, შემოგვთავაზეს, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ასეთ შემთხვევებს გამოიძიებს. ეს საკითხი აქტიური განხილვის პროცესშია.“

„საქნახშირში სამუშაო შეხვედრები აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება. დასრულების შემდეგ კი სამმხრივი შეთანხმება გაფორმდება პროფკავშირებს, „საქნახშირის“ თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის.

პროფკავშირების გაერთიანებასა და „საქნახშირს“ შორის მოლაპარაკება შედგა

კომპანია „საქნახშირის“ ხელმძღვანელობასა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთაინებას შორის მოლაპარაკება გაიმართა. შეხვედრაზე 9-17 ივნისის პერიოდში გაცდენილი საათების ანაზღაურების საკითხის განხილვა მოხდა.

9 ივნისს, ტყიბულში, „მინდელის“ სახელობის შახტაზე ამწე მექანიზმთან დაკავშირებული შეფერხების გამო შახტამ მუშაობა 13 ივნისამდე შეაჩერა. ამ პერიოდში სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სპეციალურმა კომისიამ დანადგარზე არაგეგმური ტექნიკური ინსპექტირების სამუშაოები ჩაატარა. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ შედგა ოქმი, რომლის მიხედვითაც ამწე დანადგარის გამოყენება არ იკრძალებოდა. მიუხედავად ამისა, 13 ივნისს მეშახტეებმა უარი თქვეს მუშაობაზე და შახტაზე სამუშაოები 17 ივნისამდე არ განახლებულა. მეშახტეები გაცდენილი დღეების ანაზღაურებას ითხოვენ. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე კომპანიამ თავდაპირველად უარი განაცხადა (საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში).

მოგვიანებით, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასა და „საქნახშირის“ ადმინისტრაციას შორის მოლაპარაკება შედგა, რომლის შედეგადაც „საქნახშირის“ ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოპოვება გეგმის მიხედვით წარიმართებოდა და თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების წესები სრულად იქნებოდა დაცული, გაცდენილი დღეები ანაზღაურდებოდა. კერძოდ, 13 ივნისიდან 17 ივნისამდე გაცდენილი პერიოდის შესაბამის ანაზღაურებას თანამშრომლები ივლისის თვის დარიცხულ ხელფასთან ერთად პრემიის სახით მიიღებდნენ.

გეგმა შესრულებულია, მადლობა ჩვენს მეშახტეებს!

მიხაილ სოცკი (დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე): „თვის დასაწყისში მეშახტეებთან შეხვედრა გვქონდა, სადაც შევთანხმდით, რომ ისინი გეგმას 100% შეასრულებდნენ (იგულისხმება დღეში 80 ვაგონის მოპოვება), სანაცვლოდ კი პრემიების სახით მივცემდით ანაზღაურებას. ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს ივლისის თვის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, გასულ თვეს, მეორე უბანმა 2509 ვაგონი მოიპოვა (საშუალოდ დღეში 81 ვაგონი), მეექვსე უბანმა კი 2486 ვაგონი (საშუალოდ, დღეში 80.2 ვაგონი). ეს იმას ნიშნავს, რომ „მინდელის“ მეშახტეებმა პირნათლად შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა. რაც შეეხება #4 საექსპლუატაციო უბანს („ძიძიგურის“ შახტა), მათ 2392 ვაგონი მოიპოვეს (საშუალოდ, დღეში 77 ვაგონი). ისინი გეგმას ჩამორჩნენ, თუმცა მცირედით. იმედი მაქვს, მომავალში კიდევ უფრო შეეცდებიან და გეგმასაც ბოლომდე შეასრულებენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, გაწეული შრომისთვის და შეთანხმების შერულებისთვის მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ორივე შახტის მეშახტეებს და უბნის უფროსებს: **ზურაბ ვარდოსანიძეს, აკაკი გიგინეიშვილს, ზურაბ სამაკაშვილს** და საშახტო ტრანსპორტის უბნის უფროსს ვალოდია მესხს. მნიშვნელოვანია, რომ დროულად ხდებოდა ვაგონების დაცლა და ცარიელი ვაგონების ხელახლა დატვირთვა. ადმინისტრაცია **აუცილებლად შეასრულებს აღებულ პასუხისმგებლობას**. იმედი მაქვს, ამ ტრადიციას შემდეგ თვეშიც გავაგრძელებთ.

მერიამ „ცხრაჯვარის“ სალოცავთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაიწყო!



ტყიბულის მუნიციპალიტეტში, „ცხრაჯვარის“ სალოცავთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაიწყო. მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, პროექტის ღირებულება (საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად) 2 მილიონი ლარია. საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, პროექტის განხორციელებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი უზრუნველყოფს.

ფონდს გზის მოწესრიგების თხოვნით ტყიბულის მუნიციპალიტეტმა მიმართა. პროექტით გათვალისწინებულია „ცხრაჯვარის“ სალოცავთან მისასვლელი 3,6 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომლის დროსაც დაგეგმილია ორფენიანი ასფალტის საფარის და გარე განათების მოწყობა, საავტომობილო გზის გასწვრივ ლითონის მილების დამონტაჟება, რკინა–ბეტონის კიუვეტებისა და კედლების მშენებლობა.

,,ცხრაჯვარი” საქართველოში ცნობილი ტურისტული ლოკაციაა, ის ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მდებარეობს. პროექტის განხორციელების შემდეგ, მომლოცველებისა და ტურისტებისთვის გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება. ცოტა ხნის წინ, გზის სამშენებლო სამუშაოები ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, თემურ ჩუბინიძემ სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად დაათვალიერა.

ტყიბულში წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა მიმდინარეობს

ადგილობრივი ხელისუფლებისა და მთავრობის აქტიური კომუნიკაციის შედეგად, ტყიბულში წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა მიმდინარეობს. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით პროექტის ღირებულება 4 100 000 ლარს შადგენს. სამუშაოებს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დაკვეთით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „საბა“ ახორციელებს.

პროექტის მიმდინარეობით ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, თემურ ჩუბინიძე დაინტერესდა, რომელიც ფუნდამენტის მოწყობის პროცესს ადგილზე გაეცნო.

„პროექტის ფარგლებში ახალი, თანამედროვე ტიპის სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობა აშენდება, რომელიც ევროპული სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიური დანადგარებით აღიჭურვება. სასმელი წყალი ე.წ. მემბრანული წესით გაიწმინდება. ახალი ტექნოლოგიური ციკლის შედეგად მაღალი ხარისხის პროდუქტს მივიღებთ, რომელიც ქვეყენაში დადგენილ ნორმებს დააკმაყოფილებს. სამუშაოების დასრულება 2020 წლის ბოლოს არის დაგეგმილი. ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, მოსახლეობას წყლის მიწოდება და ხარისხი გაუუმჯობესდება. პარალელურად, მუშაობა დაწყებულია გაბრიაძის, ფიროსმანისა და ჭავჭავაძის ქუჩების წყლის პრობლემის გადაჭრის საკითხზეც. გვალვის დროს, დებეტის არარსებობის გამო, აღნიშნულ ქუჩებს წყალი შეზღუდვით მიეწოდებათ. ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები უკვე შესრულებულია, 1200 მეტრზე სარეზერვო ლითონის მილი მიყვანილია რეზერვუარში და მიმდინარეობს მოლაპარაკებები სატუმბო საგდურის მშენებლობაზე, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს წყლის მიწოდებას“ - განაცხადა თემურ ჩუბინიძემ.

თამაზ დოლაბერიძე: „პროფკავშირი საკუთარ წვლილს შეიტანს ამ გაზეთის განვითარების საქმეში“

დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის ჯანსაღი ურთიერთობებისა და პარტნიორობის ჩამოყალიბების მხრივ პროფესიული კავშირების გაერთიანების როლი უმნიშვნელოვანესია. ამიერიდან, ჩვენი გაზეთის მეშვეობით, ტყიბულელებისთვის აქტუალური და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაში საკუთარ წვლილს პროფკავშირებიც შეიტანს. გთავაზობთ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის, თამაზ დოლაბერიძის წერილს:

„პირველ რიგში, შპს ,,საქნახშირის“ მთელ შრომით კოლექტივს მინდა მივულოცო გაზეთ ,,მეშახტის“ გამოშვება და მადლობა გადავუხადო ინიციატორებს, კომპანიას და სარედაქციო ჯგუფს, რომლებიც დღეიდან მაქსიმალურად იზრუნებენ შრომითი კოლექტივის ინფორმირებისთვის. მეშახტეებს ვპირდებით, რომ პროფკავშირი საკუთარ წვლილს შეიტანს ამ გაზეთის განვითარების საქმეში.

პროფკავშირული იდეა სათავეს სწორედ იმ მომენტიდან იღებს, როდესაც პირველი დაქირავებითი სამუშაო ადგილი შეიქმნა - ანუ მაშინ, როდესაც მსოფლიოში საზოგადოებრივ-სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად ინდუსტრიალიზაციის პროცესები დაიწყო, გაჩნდა საწარმოები და საჭირო გახდა დაქირავებითი სამუშაო ძალა. საქართველოში ინდუსტრიალიზაციის დასაწყისად მე-19 საუკუნის II ნახევარი მიიჩნევა.

დამსაქმებელსა და დასაქმებულს უერთმანეთოდ ყოფნა არ შეუძლიათ, რადგან თუ დამსაქმებელი არ იარსებებს, არ იარსებებენ დასაქმებულები და პირიქით... ანუ, ეს არის მყარი მოცემულობა, რომელსაც ვერავინ შეცვლის სანამ დაქირავებითი სამუშაო ადგილი იარსებებს, თუმცა მათ შორის მუდმივი ბუნებრივი კონფლიქტი არსებობს, რადგან ერთიცა და მეორეც, ხშირ შემთხვევაში, არაობიექტურად აფასებენ ერთმანეთის შრომას. აქედან გამომდინარე, მე-19 საუკუნის ბოლოდან დღემდე, მსოფლიოს ყველაზე ჭკვიანი და ინტელექტუალური ადამიანები ცდილობენ იმგვარი მექანიზმების მოფიქრებასა და შექმნას, რომელიც ამ ,,ბუნებრივ კონფლიქტს“ ჰარმონიულ სოციალურ პარტნიორობაში გარდასახავს და სწორედ ასე იქმნება თანამედროვე ცივილიზებული შრომითი სტანდარტები, რომელთა ნაწილის ავტორი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაა, ხოლო ნაწილისა კი ევროკავშირი და სხვა ევროპული სტრუქტურები.

ქართულ საზოგადოებაში ამ სტანდარტების დანერგვა და გათავისება უდიდეს სირთულეს წარმოადგენს, რადგან ჩვენს ქვეყანას ცხოვრება მუდმივად უწევდა დომინანტურ საზოგადოებაში. ანუ, ჯერ იყო და საზოგადოების ერთი ჯგუფი (ფეოდალები) დომინირებდა მეორეზე. შემდეგ, ანუ საბჭოთა კავშირის პირობებში, 80 წელი გავატარეთ საზოგადოებაში სადაც მუშები დომინირებდნენ მთელ საზოგადოებაზე და კერძო საკუთრების მფლობელები გამოცხადებული იყვნენ ქვეყნის მტრებად. შესაბამისად, საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის უფლებრივი და სოციალური ბალანსის დაცვა ჩვენი ქვეყნის ყველაზე მთავარი და ურთულესი ამოცანაა დღეს, თუმცა აბსოლუტურად შესაძლებელი და მიღწევადი.

დავიწყოთ იმით, რომ დასაქმებულმა ზუსტად იცის (ან უნდა იცოდეს) - თუ მისი დამსაქმებელი წარმატებული იქნება, მეტი წინაპირობა და შესაძლებლობა იარსებებს დასაქმებულის სოციალური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრისთვის.

ამასთანავე, დამსაქმებელმაც ზუსტად იცის (ან უნდა იცოდეს) - თუ დასაქმებული ჯანმრთელი და სამუშაოთი კმაყოფილია, თუ მიღებული შემოსავლით და საწარმოში დანერგილი სოციალური პოლიტიკის შედეგად იგი ახერხებს როგორც ოჯახის რჩენას, ასევე დასვენებას და გართობას, ასეთ შემთხვევაში მისი შრომის ნაყოფიერება და შესრულებული სამუშაოს ხარისხიც მაღალია, რაც პრინციპში, უზრუნველყოფს კიდეც დამსაქმებლის ბიზნესის წარმატებას.

შეუძლებელია ვისაუბროთ დამსაქმებლისა და დასაქმებულის რაიმე წარმატებაზე, თუ ისინი ერთმანეთს იძულების ენით ესაუბრებიან, რადგან ამგვარი ურთიერთობა ერთმანეთისადმი ანტაგონიზმის ხარისხს ზრდის, რაც საბოლოო ჯამში კონფლიქტით სრულდება. შრომითი კონფლიქტი კი თითქმის ყოველთვის ზიანის მომტანია როგორც დამსაქმებლისთვის, ასევე დასაქმებულისთვის და ზოგადად, სახელმწიფოსთვის.

ნორმალური და ხარისხიანი სოციალური პარტნიორობის დასამყარებლად, ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანაში საკმარისზე მეტი საკანონმდებლო შესაძლებლობა არსებობს და ჩვენ ყველანი, დამსაქმებელიც, დასაქმებულიც, პროფკავშირიც და სახელმწიფოც, ვალდებულები ვართ ეს შესაძლებლობები სწორად გამოვიყენოთ. ამისთვის კი აუცილებელია რამდენიმე მარტივი რამ: ყველამ ვიმოქმედოთ კანონმდებლობის მიხედვით, ურთიერთობების მთავარ საყრდენად გამოვიყენოთ ადამიანის ერთერთი ყველაზე მაღალი კატეგორიის თვისება - გულწრფელობა, სწორად შევძლოთ პრობლემების იდენტიფიცირება და გაანალიზება, სწორად შევძლოთ ამოცანების დასახვა და მიზნის მისაღწევად სწორი გზების შერჩევა, ვიმოქმედოთ კოორდინირებულად და ვეცადოთ დავნერგოთ პრაქტიკა - ვიმუშაოთ და ვიღვაწოთ მხოლოდ და მხოლოდ იმ წესების მიხედვით, რომელსაც ადგენს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა, მსოფლიოში არსებული საუკეთესო შრომითი პრაქტიკა და ცივილიზებული საზოგადოების მიერ დადგენილი მორალურ-ზნეობრივი სტანდარტები.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ტყიბულის რეალობაში ჩვენ ამას აუცილებლად შევძლებთ, რადგან პირადად მე ამის მზაობას ვხედავ როგორ კომპანიის ადმინისტრაციის, ასევე მეშახტეების მხრიდანაც.

ჩვენ ტყიბულში გვყავს ძალიან გამოცდილი და ღირსეული მეშახტეთა შრომითი კოლექტივი, რომლებიც ვფიქრობ, კომპანიის მხრიდან შესაბამისი ხელშეწყობის შემთხვევაში, მზად არიან საწარმოს წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის პროცესში გუნდურად ჩაერთონ და საერთო მიზნების მიღწევაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

კოლექტიური შრომითი ურთიერთობების ჰარმონიზაციის აშკარა მზაობას ვხედავ კომპანიის მხრიდანაც, ეს კი გვაძლევს იმის სტიმულს, რომ პროფკავშირის ხელთ არსებული სრული ენერგია და რესურსები სოციალური დიალოგის განვითარებისკენ მივმართოთ.“

ტყიბულელი სამთოელები ევროპული განათლებით

საზღვარგარეთ განათლების მიღება წლების წინაც ისეთივე აქტუალური იყო, როგორც ახლა. 1900-იანი წლების დასაწყისში, ტყიბულში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ადამიანები, რომლებმაც საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული ცოდნა სამშობლოს მოახმარეს.

ეს ადამიანი იყო ტყიბულელი იოსებ ჯაოშვილი, რომელმაც 1912 წელს, ავსტრიაში, ლეობენის საიმპერატორო სამთო სასწავლებელი დაამთავრა. ეს ფაქტი სასწავლებლის მიერ გაცემული ორიგინალი დიპლომით დასტურდება, რომელიც ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

იოსებ ჯაოშვილი ტყიბულში ჩამოსვლის შემდეგ საზოგადოება “ნახშირას“ საწარმოში მუშაობდა. მისი ინიციატივით დაინერგა ახალი მეთოდები ქვა-ნახშირის ხარისხის ამაღლების კუთხით. ჯაოშვილის ევროპული განათლება ინჟინერმა დ. ყიფიანმა ბრიკეტების საწარმოში და ქავანხშირის სარეცხებში გამოიყენა (1924-1925 წლებში). იოსებ ჯაოშვილის სახელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტყიბულის ერთ-ერთ ქუჩასაც ერქვა.

ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინფორმაცია

ტყიბული 19 წლის ფეხბურთელს, ნინი გურგენიძეს გამოემშვიდობა

ტყიბულელი ფეხბურთელი, ნინი გურგენიძე 19 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. იგი თითქმის 2 წელი ებრძოდა მძიმე დაავადებას.

ნინი ფეხბურთს ბავშვობიდან თამაშობდა, 12 წლის იყო როდესაც ტყიბულის საფეხბურთო სკოლაში მივიდა და ერთადერთი ფეხბურთელი გოგონა იყო გუნდში. ნინი ტყიბულიდან ქუთაისის 37-ე სკოლის გოგონათა გუნდში გადავიდა სასწავლებლად, 2015 წლიდან ქუთაისის გოგონათა გუნდ „მართვეს“ წევრი გახდა, სადაც ის წარმატებით თამაშობდა ფეხბურთს და 2016-2017 წლებში საქართველოს ჩემპიონიც გახდა. ასევე თამაშობდა აზერბაიჯანის 17 წლამდე გოგონათა ნაკრებში.

კომპანია „საქნახშირი“ მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს ნინის ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ყველა მის ახლობელს და საფეხბურთო კლუბ „მართვეს.“

"საქნახშირმა" TDDF-ის STEM კლუბის საინიციატივო ჯგუფის წევრებს სადეზინფექციო საშუალებები გადასცა



26 ივლისს ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდს შ.პ.ს. „საქნახშირის" დირექტორი, ზურაბ აღდგომელაშვილი ეწვია და კლუბის წევრებს COVID 19-ისაგან დაცვის საშუალებები გადასცა. დღეიდან, ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების დაცვით, სრული დატვირთვით იწყებს ფუნქციობას. ახალგაზრდები დახურულ სივრცეში შეკრებებისათვის აუცილებელი პირობების დაცვით შეძლებენ საკუთარი და კლუბის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ორბელიანი საქართველოს" დაფინანსებით, ფუნქციობას იწყებს STEM კლუბი. კლუბს TDDF-ის მოხალისეები დანიელ გელანტიასა და ლადო მესხის ხელმძღვანელობით გაუძღვებიან. კლუბის მიზანია ახალგაზრდებმა თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით განივითარონ შემეცნებითი და ლოგიკური აზროვნების უნარები.

ქეთევან ლოსაბერიძე იუბილარია!

ქეთევან ლოსაბერიძე ტყიბულის რაიონის სოფელ ლეყერეთში 1949 წლის 1 აგვისტოს დაიბადა. **ის პირველი და ერთადერთი ევროპის ოლიმპიური ჩემპიონი ქალია მშვილდოსნობაში.** 2019 წელს ქალბატონი ქეთევანი ტყიბულის საპატიო მოქალაქე გახდა.

ქეთევან ლოსაბერიძე 2002-2005 წლებში საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი იყო. დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით, 2018 წელს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით და ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ტიტულები: ოლიმპიური ჩემპიონი - 1980 (მოსკოვი); ოლიმპიადის IV ადგილოსანი - 1972 (მიუნხენი); მსოფლიოს ჩემპიონი - 1973 (გუნდური), 1981 (გუნდური); ევროპის ჩემპიონი - 1972 (პირადი, გუნდური), 1978 (გუნდური), 1980 (გუნდური); სსრკ ჩემპიონი - 1973, 1979; სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი - 1971, 1972, 1974, 1975, 1981; სსრკ თასის მფლობელი - 1972, 1978; სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი - 1979; მილანის (1975, 1980), ლოძის (1976), კიოლნის (1978) და ლვოვის (1981) საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული; საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (სპორტულ ჟურნალისტთა კავშირი) - 1980; სსრკ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი - 1971; სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი - 1980.

კომპანია „საქნახშირი" ქალბატონ ქეთევანს დიდი პატივისცემით ულოცავს იუბილეს, ჯანმრთელობას და ბედნიერ სიცოცხლეს უსურვებს.

შაორზე სპორტული თევზაობის შეჯიბრი გაიმართა!

12 ივლისს "საქნახშირის" ინიციატივით, შაორის ტბაზე სპორტული თევზაობის შეჯიბრი გაიმართა. მასში მონაწილეობას "საქნახშირის" თანამშრომლები იღებდნენ. შეჯიბრი დილის 6 საათზე დაიწყო და 10 საათზე დასრულდა. გამარჯვებულები დაჭერილი თევზის რაოდენობის მიხედვით გამოვლინდნენ.

პირველი ადგილის მფლობელი შალვა ბოჭორიშვილი გახდა, მეორე ადგილი ავთანდილ ბრეგაძეს, ხოლო მესამე ადგილი თენგიზ სოფრომაძეს ერგო. გამარჯვებულებს სამახსოვრო სიგელები და ფულადი ჯილდო გადაეცათ. პირველ ადგილზე გასული მონაწილე 500 ლარით დასაჩუქრდა, მეორე ადგილზე გასული 300 ლარით. მესამე ადგილზე გასულ მონაწილეს კი 200 ლარი გადასცეს. ღონისძიების დასრულების შემდეგ კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, მიხაილ სოცკიმ სტუმრებს პეტრე-პავლობის დღესასწაული მიულოცა და საკუთარი ხელით მომზადებული საჭმლით გაუმასპინძლდა.

მიხაილ სოცკი: „ძველი რეცეპტით მომზადებული „უხა" მზად არის. მოვამზადეთ შაორის თევზით. მთელი გულით გავაკეთეთ და ვფიქრობ, ჩვენს მეშახტეებს მოეწონებათ. ყველას ვულოცავ პეტრე-პავლობის დღესასწაულს, ასევე „მეთევზის" დღეს, რომელსაც ადრე აღნიშნავდნენ ხოლმე. ჩვენი ხელმძღვანელობის პერიოდში ეს პირველი მასშტაბური ღონისძიებაა და კიდევ ბევრჯერ ჩატარდება. ჩვენ აუცილებლად აღვნიშნავთ „მეშახტის დღეს" და ასევე ქართულ დღესასწაულებს. მსგავსი ღონისძიებები თანამშრომლებს დასვენებისა და ერთმანეთთან დაახლოების საშუალებას აძლევს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვინც კარგად ისვენებს, ის კარგადაც მუშაობს."

ტყიბულელ მეშახტეებს შორის ნარდისა და ჭადრაკის შეჯიბრი გაიმართა

25-26 ივლისს, კომპანისა "საქნახშირის" თანამშრომლებს შორის ჭადრაკის ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატი შვეიცარული სისტემით, 7 ტურად ჩატარდა. გამარჯვებულები 26 ივლისს გამოვლინდნენ. პირველ ადგილზე კახა ხორხომელიძე გავიდა, მეორე ადგილი ზვიად ჭანტურიძეს ერგო, ხოლო მესამე ადგილი გიორგი ხორხომელიძემ დაიკავა.

ღონისძიება პროფკავშირებისა და საჭადრაკო კლუბ "ტყიბულის" მხარდაჭერით, "საქნახშირის" ტერიტორიაზე ჩატარდა. გამარჯვებულებს კომპანიამ ფულადი პრიზები და სამახსორო სერტიფიკატები გადასცა.

1 აგვისტოს მორიგი შეჯიბრი გაიმართა. ამჯერად მეშახტეები ერთმანეთს ნარდის თამაშში შეეჯიბრნენ. პირველი ადგილის მფლობელი ვალოდია მესხი გახდა. მეორე ადგილზე გელა უკლება გავიდა, მესამეზე კი გია ცირეკიძე. გამარჯვებულებს სამსახსოვრო სერტიფიკატები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ. დასაჩუქრდა ტურნირის ერთადერთი ქალი მონაწილეც - მთვარისა სოფრომაძე ფულადი პრიზით საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ დააჯილდოვა.

"საქნახშირის" მეშახტეები ჭადრაკსა და ნარდში გამოწვევას უგზავნიან ჭიათურის "ჯორჯიან მანგანეზისა" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის თანამშრომლებს!

სპორტული თევზაობა შაორზე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე
აგვისტო | 2020 | №2

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

"საქნახშირის"
კორპორატიული გამოცემა